# სადამრიგლებრო პროგრამა

1. კლასის სამუშაო მიზნის ჩამოყალიბება სასწავლო წლის დასაწყისში (აკადემიური მოსწრების ამაღლება; დისციპლინის განმტკიცება; კლასში მეგობრული ატმოსფეროს ჩამოყალიბება და ა.შ. );
2. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
3. ეროვნული სასწავლო გეგმის გაცნობა;
4. საკუთარი უფლება მოვალეობების გაცნობა, გათვითცნობიერება;
5. სკოლის შინა განაწესის გაცნობა და მის შესაბამისად ქცევის ნორმების ჩამოყალიბება;
6. მოსწავლეთა ჩართულობა კლასის სამუშაო გეგმის შედგენაში;
7. მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, სოციალური მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისად თანამშრომლობა;
8. გაცდენა-დაგვიანებების აღმოფხვრა;
9. სკოლის ადმინისტრაციული სასჯელის გაცნობა და შესაბამისად მოქმედება;
10. კლასის საათის, დისპუტების, კითხვა-პასუხის, დიალოგის ჩატარება კლასისთვის პრობლემურ საკითხებზე;
11. სოციალური უნარების გამომუშავება (რეაგირება თანატოლთა ქცევაზე, ურთიერთობა მასწავლებლებთან, მშობლებთან, უფროსებთან; პასუხისმგებლობის უნარის გამომუშავება; დღიურების შედგენა; საკუთარი საქციელის გაანალიზება);
12. აკადემიური მოსწრების ამაღლება (თანამშრომლობა საგნის მასწავლებლებთან; წახალისების სხვადასხვა ფორმის გამოყენება, დამატებითი მეცადინეობების ჩატარება; მშრობლებთან თანამშრომლობა);
13. მოსწავლეთა ჩაბმა ბიბლიოთეკაში (საინტერესო წიგნების განხილვა; ახალი წიგნებით დაინტერესება და მათი პოპულარიზაცია);
14. მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა ( გამოფენების, კონკურსების მოწყობა);
15. თვალსაწიერის გაფართოება (ლიტერატურული ვიქტორინების, დილა-საღამოების მოწყობა; ინტელექტუალური თამაშების ჩატარება, კოლექტიური სვლა კინოსა და თეატრში);
16. ჩხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ( ლაშქრობები, ექსკურსიები, მხიარული სტარტები, მაგიდის ჩოგბურთი, ტანვარჯიში);
17. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე დისპუტების , ვიქტორინების ჩატარება თემებზე: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს "ნატოსა" და სხვადასხვა ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანების შესახებ;
18. როფესიული მიდრეკილებების გამოვლენა (ტესტების, გამოკითხვების ჩატარება; საწარმოების დათვალიერება; სტუმრობა სხვადასხვა უმაღლესს სასწავლებელში);

19. თოლეტანტობის უნარჩვევათა გამომუშავება ( საუბრები, დისპუტები ქართულ-აფხაზურ და ქართულ- ოსურ ურთიერთობათა შესახებ);
20. სჯელობის, აზრის გამოთქმის დებატების კულტურის უნარჩვევათა გამომუშავება (საინტერესო ტელე გადაცემების, სტატიების განხილვა);
21. ღონისძიებანი ვაჟებში სამხედრო პატრიოტული აღზრდის უნარჩვევათა გამომუშავებისათვის ( სტუმრობა სამხედრო ნაწილში; ჯარისკაცებთან შეხვედრა; ომში დაღუპულ ჯარისკაცთა ბიოგრაფიების გაცნობა და ა.შ.);
22. არემოს დაცვის კულტურის უნარ-ჩვევათა გამომუშავება ( მონწილეობის მიღება გამწვანებაში, ნარგავების მოვლა, დისპუტებისა და კონფერენციების ჩატარება);
23. მშობლებთან თანამშრომლობა ( მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებების, ქცევის წესების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, გაცდენა დაგვიანებებზე რეაგირება, განსაკუთრებული კონტაქტი ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვების მშობლებთან; ურთიერთობა ტელეფონით წერილობით; შეხვედრები; მშობელთა კრების ჩატარება);
24. თანამშრომლობა ფსიქოლოგთან ( მოსწავლეებთან ხშირი კონტაქტი, მათთან სხვადასხვა სახის (ოჯახური, პირადი, და ა.შ.) პრობელმების აღმოსაფხვრელად);
25. მოსწავლეთა დახასიათება სასწავლო წლის ბოლოს, დოკუმენტაციის მოწესრიგება.